| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

გაზეთი ღირს

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ვუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



## ი ვ ე რ ი ა

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

შაბათს, 22 დეკემბერს,

„ტფილისის სობრანიის“ დარბაზში

დანიშნულია

## კონცერტი

და სატანცაო საღამო

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

დაწვრილებითი აფიშებში იქნება გამოცხადებული.

(5—1)

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, თუ მოსწავლეებსა თუ სხვათა, რომ ჩემი საკუთარი ეკონომიური წიგნის მაღაზია, რომელიც მქონდა სობოროს და ბულვარის მახლობლად ქუთაისს, ანდრონიკოვის მამულში, ამ ქრისტეშობის თვიდგან გადატანილ იქმნა წმიდა ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ, კნიაჟევიჩის ქუჩის თავში, რომელშიაც იყო უწინ წიგნის მაღაზია და ბიბლიოთეკა ვაჟების გიმნაზიაში ნამყოფ მასწავლებელ პეტროვისა, მამაჯანოვის და ამირაღოვის შენობის კუთხეში, ნემეცების ქუჩისა და ვიგუშინსკის აფთიაქის მახლობლად. იმედი მაქვს პატივცემული საზოგადოება არ შემწუხდება და ივლის ამ ჩემს ახალს სადგომში თუ სასყიდლად და თუ მოსაყიდავად წიგნებისა. მომავალ იანვრის პირველიდგან მივიბარებ ნახმარ წიგნებს გასასყიდად.

(10—6) მიხეილ პავლეს ძე გვარიშვილი

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 18 დეკემბერს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

## პატარა კახი

ისტორიული დრამა 5 მოქ. ლექსად. თხზ. აკაკი წერეთლისა.

კახის როლს ითამაშებს

ბ. ნიჟარაძე... ბ. ნიხუციშვილი.

მონაწილენი: ქ-ნი აბაშიძისა... მოთამაშენი: ქქ-ნი ავალიშვილისა, ტატიშვილისა, ტარიელოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათიროვი და სხვ.

იხატება ახალი დეკორაციები. ტანთსაცმელი ახალი.

დასაწყისი 8 საათზე

ანონსი: მზადდება ახალი პიესები: „დამარცხებულნი“—პ. უმიკაშვილისა და „ბორკილი“—ა. სუმბათაშვილისა.


## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, ამ თვის 16, ნაშუადღევს პირველ საათზე, ტფილისის კლასიკურს პროგიმნაზიაში წლიური აქტი იყო. აქტზე მოწვეულნი იყვნენ მოწაფეეთა ნათესავები და მრავალნი სხვანი. კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწის გრაფ ტატიშჩევის, თ. ზაქარია ჭავჭავაძის მობრძანებისათანავე შეგირდების ხორომ რუსულად იგალობა „მეუფეო ზეცათაო“ და ამას შემდეგ ამ სასწავლებლის დირექტორმა ვ. ა. მარტინოვსკიმ წაიკითხა გასულის წლის ანგარიში. ამ ანგარიშიდგან სხვათა შორის სჩანს, რომ ამ წელს ოთხ-კლასიანი პროგიმნაზიისთვის მოუმატებიათ მეხუთე კლასი და მეორე განყოფილება მოსამზადებელ კლასისა და განზრახვა აქვთ მერმისაც მიუმატონ მეექვსე კლასი. სახელმწიფო ხაზინიდგან ამ პროგიმნაზიას ეძლევა 21,000 მან. და რადგანაც ეს ფული არა ჰყოფნის მეხუთე კლასისა და მოსამზადებელ კლასის მეორე განყოფილების შესანახავად, ამიტომ ამ სასწავლებელში სწავლის ფასი მოუმატებიათ და ოთხი თუმანი ექვსი გაუხდიათ. ერთის მხრით სწავლის ფასის მომატებითა და მეორის მხრივ მოწაფეების გამრავლებით ამ სასწავლებელს აუღია 18,000 მანეთი. ამას გარდა პროგიმნაზიას შარშანდელ შემოსავლიდგან დარჩენია 7,000 მან., ასე რომ სულ ამ წელს ჰქონდა 25,000 მან., რომლიდგანაც 10,000 მან. უკვე დაუხარჯავს და 15,000 მან. კი დარჩენიათ. პროგიმნაზიაში ღარიბი დედ-მამის შვილები ძალიან ცოტანი სწავლობენ და ამიტომ ამ სასწავლებელში არ არის ღარიბ შეგირდების დამხმარებელი საზოგადოება, თუმცა-კი ამ წელს ორის მოწაფისათვის დაუნიშნავთ სტიპენდია ბ-ნ კრესლოვსკის მიერ შეწირულ 1,200 მან. სარგებლიდგან. ამ სასწავლებელში შარშან ყოფილა სულ 184 მოწაფე და ეხლა-კი სწავლობს 320 შეგირდი. სიმრავლით პირველი ალაგი უჭირავთ სომხებს, მეორე—რუსებს და მესამე — ქართველებს, სწავლით-კი ქართველები სჯობნიან სხვებსაო.

ქართველთა შორის ამ წელს კარგის სწავლისა და ყოფა-ქცევისათვის დასაჩუქრებულ იქმნენ: გიორგი ბურჯანაძე (მეოთხე კლასის შეგირდი), თ. დავით დიასამიძე (მესამე კლასისა), კონსტანტინე ჩერქეზიშვილი (მოსამზადებელ კლასისა). ამათ პირველი ხარისხის საჩუქრები მიიღეს. გიორგი ლომაურმა, ივანე ნიჟარაძემ და გიორგი მოზდოკელოვმა მიიღეს მეორე ხარისხის საჩუქარი, ე. ი. მოწონების ფურცელი. ამას გარდა ხატვის კარგად სწავლისათვის საჩუქრები მიიღო ე. შათირიშვილმა, მუსიკის კარგად სწავლისათვის დასაჩუქრებულ იქმნენ თ. ერისთავი, შათირიშვილი და თეთრაძე. აქტი გათავდა ორ საათზე. დასასრულ მოწაფეებმა იმღერეს რუსეთის საერო საგალობელი „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა.“

*** აგერ ორი დღეა, რაც რუსეთიდგან ფოსტა არ მოსულა. დეპეშებით იუწყებიან, რომ სამხედრო საქართველოს გზაზე ზვავები არ არის და ფოსტის მოუსვლელობის მიზეზი არ ვიცითო.

*** ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, დანიშნულია კრება საგუბერნიო დაწესებულებისა საქალაქო საქმეთათვის. ამ კრებაზე განხილულ იქმნება სხვათა შორის მოხსენება ტფილისის საქალაქო საბჭოსი ხმოსანთა ამორჩევის შესახებ მომავალის ოთხის წლისათვის 1891 წ.—1894 წ.

*** როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ამას წინად ქუთაისში წარმოადგინეს ა. სუმბათაშვილის ოთხ-მოქმედებიანი დრამა „ბორკილი“, რომელიც მომავალ კვირისთვის აქვს წარმოსადგენად დანიშნული ჩვენს ქართულს თეატრს. წარმოდგენის მეორე დღეს შემდეგის შინაარსის დეპეშა მიუწერია კოტე მესხს ქუთაისიდგან მოსკოვში პიესის ავტორისათვის.

## ფელეტონი

### წერილი

გორის მომხმარებელთა საზოგადოების გამო.

I

ამ ჩემს წერილებს გორის მომხმარებელს საზოგადოების შესახებ, როგორც გამოვსთქვი „ივერიის“ № 248-ში, სრულიად სხვა ხასიათი მიეცემოდა, ბევრი რამე გარეშე ამბები ითქმოდა და გამოქვეყნდებოდა, თუ რომელიმე საბჭოს წევრი ჩემს საკითხავზედ პასუხს მამცემდა, მაგრამ წევრნი გაჩუმდნენ; მე იძულებული ვარ მოკლედ, მაგრამ სრულებით აღვწერო გორის მომხმარებელის საზოგადოების ავი და კარგი დაწყებიდამ საქმისა შეჩერებამდე. სხვათა შორის, შევეხები იმ წერილებსაც, რომელიც იყო დაბეჭდილი „Тиф. Лис.“-ის № 257 და 259-ში, შევეხები იმდენად, რამდენადაც ამას გარემოება საქმისა მოითხოვს.

ამ წერილმა, მართალია, სხვა-და-სხვა გარემოებისაგამო ძალიან დაიგვიანა, მაგრამ რუსული ანდაზა ამბობს: „სჯობს გვიან იყოს, ვიდრე სულ არაო“. გულში არ მქონდა ამ საგნის შესახებ ხმის ამოღება; ვიფიქრე: ვისთვის რა საჭიროა ამ დროში, როცა უფრო მწვავე საკითხავები აღელვებს ადამიანსა, ერთმანეთის დავიდარაბის აღწერა და გამოქვეყნება-მეთქი, მაგრამ საქმემ დღითი-დღე ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ საზოგადო მოღვაწენი ჩვენის საზოგადოებისა ერთმანერთს დაატაკა, მეგობრებმა მეგობრები გაიმეტეს სასიმბილოდ, დასაღუპავად, თითქმის სასიკვდილოდაცა. ვსთქვი: მოდი, კალამს ხელს მოვკიდებ, არც ჩემს თავს დავზოგავ, არც სხვას და ნამდვილს, უტყუარს მართალს დავანახვებ-მეთქი საზოგადოებასა. ეს უფრო გამაბედვინა ბ-ნ ა. ფურცელაძის წერილებმა, დაბეჭდილმა ზემოდ მოხსენებულს „Т. Л.“-ის ნომრებში, სადაც ჯერ ბ-ნ ნ. დიასამიძეს დააბრალა გაფლანგვა საზოგადოების საქონლისა და ფულისა და შემდეგს ნომერში დ—ძეზედ მიტანილი იერიში შესცვალა და ჩვენზედ, ე. ი. გამგეობის წევრებზედ, მოიტანა და სთქვა, რომ სისხლის სამართლის წესით დევნა მონდობილი მქონდა ფულისა და საქონლის გაფლანგვისათვისაო. ქვემორე მოყვანილის ამბებიდამ ცხადად დაინახავს მკითხველი, მართლა გაფლანგა დიასამიძემ საზოგადოების საქონელი და ფული, თუ არა? მართლა გაფლანგეს გამგეობის წევრთა საქონელი და ფული თუ არა? დაინახავს, თუ ვინ, ან რა იყო მიზეზი საზოგადოების დაცემისა და საქმის შეჩერებისა; ვის უფრო ჰქონდა „მოქალაქობრივი წრფელი და წმინდა განზრახვანი“.

პირველი მეთაურობა და დაწყება მომხმარებელთა საზოგადოების დაარსებისა ეკუთვნის შემდეგს პირებსა: არტილერიის კაპიტანს ბ-ნ ნელიუბინს, ყველასაგან პატივცემულს გორის მომრიგებელს მოსამართლეს აპ. ლ. ბუტენკოსა და თ. ნ. დ. დიასამიძესა. რამდენიმე ხანი იტრიალა საზოგადოებაში ამ აზრმა და ბოლოს ამ სამმა კაცმა განახორციელა. ამათ შეადგინეს კომისსია, შეიმუშავეს წესდება. საქმის დათავება მიანდეს დიასამიძეს, ე. ი. მიანდეს, საქმე ეწარმოებინა მთავრობასთან და წესდება დაემტკიცებინა. დ—ძემ თითქმის წელიწად ნახევარი სდია ამ საქმეს თავის ხარჯითა და დაამტკიცებინა. წესდების დამტკიცებას შემდეგ ეს სამი კაცი შეუდგა წევრთა შოვნას. წევრთათვის დასარიგებლად დიასამიძემ დაბეჭდვინა თვით წესდებაც. საწევრო ფული (პაი) იყო ერთი თუმანი და ერთი მანეთიც საქმეების მოსაწყობად; თუმანზე მეტი შეეძლოთ შეეტანათ, სურვილისამებრ. წევრობა საზოგადოებისა მეც ვიკისრე. საქმე საქმეზედ მოვიდა. 22-ს თებერვალს 1882 წ. შესდგა საზოგადო კრება ახლად დაბადებულის საზოგადოებისა და ამ კრებაზედ გამგეობის წევრებად ერთ ხმად ამოგვირჩიეს: ა. თუთაევი, გ. ჯაფარიძე და მე. პირველში, რასაკვირველია, წევრნი ცოტანი იყვნენ. ვაჭრობა დავიწყეთ 1-ს მაისიდამ 1882 წ. თექვსმეტის თუმნითა (160 მან.). რომ კონკურენცია გაგვეწია ვაჭრებისათვის, რომელნიც აგვიყაყანდნენ და ფასები დაუშვეს, ჩვენთვის საჭირო იყო ფული საქონლის მოსატანად, ყველა ნაირის შეშუტის გასაჩენად. ამ გაჭირვებაში მივმართეთ ფულისათვის საზოგადოების ერთს მოთავეთაგანს ბ-ნ დიასამიძეს, რომელმაც ხელი მოგვიმართა და უსარგებლოდ ფული მოგვცა. არა თუ ფულს გვაძლევდა, მუჯამ, რაც-კი დაგვჭირდებოდა, და დაგვაკლდებოდა თუ არა რომელიმე საქონელი, დ—ძეს შეუკვეთდით და იგი დაუზარებლად მიდიოდა ტფილისში და ასრულებდა ჩვენს სურვილს. ას ერთს მანეთს გარდა (101 მან.), რომელიც დ—ძემ წილის ფულად შემოიტანა და რომელიც დღესაც იწვის, როგორც ვსთქვით, საზოგადოების მაღაზიას სხვა-და-სხვა დროს უსარგებლოდ აძლევდა სულ ორას სამოც-დაათი თუმანი (2700 მ.). მე ამას დ—ძის სასარჩლოდ და დასაცველად არ ვამბობ, არ ვამბობ ტყუილად, ყველა ეს სჩანს დავთრებიდამ და მაღაზიის საქმეებიდამ.

დიასამიძეს გარდა ა. თუთაევმა სხვა-და-სხვა დროს მისცა სესხად საზოგადოებას საკუთარი ფული სამასი თუმანი სარგებლით, რომლის ზოგი ნაწილი არ მიუღია. თვით მე ჩემი საცოლავი ჯამაგირი, როცა გაგვიჭირდებოდა ხოლმე საქმე, შემქონდა მაღაზიაში; ჯაფარიძემაც სხვაგან აღებული ვალად ფული თავის საჭიროებისათვის რამდენჯერმე მოახმარა უსარგებლოდ საზოგადოების მაღაზიას. ვიმეორებ, ყველა ეს ლიტონი სიტყვა არ არის, სჩანს დავთრებიდამ, რომელიც ხელთა გვაქვს და რომელიც ყველას შეუძლიან ნახოს და შეამოწმოს ჩემის სიტყვების სინამდვილესთანა. ამ გვარად შეტანილის ფულით ვატრიალეთ საქმე, ვაწარმოეთ ვაჭრობა. ბოლოს წევრთა რიცხვმა იმატა და თითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დღეს პირველად წარმოადგინეს „ბოჰკილი“ ქართულს სცენაზედ და სამაგალითოდაც ჩაიარა. არტისტი ქალნი და კაცნი ერთად ვართ შეკრებულნი, გილოცავთ და თქვენს სადღეგრძელოსა ვსვამთ. რეჟისორი მესხი“.

პასუხად კოტე მესხს შემდეგი დეპეშა მოსვლია:

აგრე დიდად ძნელად თუ რომელსამე კარგს ამბავს გავუბედნიერებივარ, გულითა ვმადლობ ჩემს ძვირფასს ძმებს სამშობლოთიცა და ხელოვნებითაც. ვსვამ სადღეგრძელოს ჩემის სამშობლო ქართულის „სცენის ბედნიერ მერმისისას“, იმ სცენის მერმისისას, რომელიც ეხლავე მდიდარია ნიჭიერის მოღვაწეებითა. თქვენი სუმბათოვი“.

*** როგორც ნავთის მწარმოებელთა კრების მიერ მოკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, აპშერონის კუნძულზედ ამ წლის 1 იანვრიდგან 1-ლ დეკემბრამდე სულ 219,963,949 ფუთი ნავთი ამოუღიათ.

*** ფიურერის ცირკი, რომელიც აგერ მთელი თთვეა ბათუმში ჰმართავდა წარმოდგენებს, ამ დღეებში ჩამოვა ტფილისში და 20 დეკემბერს გამართავს პირველს წარმოდგენას. ცირკში თითქმის სულ ახალი მოთამაშენი არიან და მემუსიკეებადა ჰყავთ ტფილისელებს ნაცნობი გურულების მუსიკის ხორო, რომელიც ფიურერს მთელის სეზონისთვის დაუქირავებია.

*** ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ მოგვივიდა კიდევ ათი მანეთი ხონში შეკრებული მღვდლის ერასტი მაჭარაძის მიერ. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 1263 მან. 37 კაპ. ამიანად შესდგა 1273 მან. 37 კაპ. აქვე ვბეჭდავთ შემომწირველთა სიასაც: ბლ. მღვდელმა ერასტი მაჭარაძემ 1 მ., მღ. პაველე გოგოლაშვილმა 1 მ., მღვდელმა სამსონ ცაგარეიშვილმა 60 კ., მღ. ალექ. ნემსაძემ 60 კ., მღ. პლ. ცაგარეიშვილმა 50 კ., მღ. თომა მაჭარაძემ 50 კ., მღ. ფილიპე დათიაშვილმა 50 კ., მღ. ეს. წერეთელმა 50 კ., მღ. პეტ. ჩარგეიშვილმა 50 კ., მღ. ანდ. ლექავემ 50 კ., მღ. მოსე ლექავამ 20 კ., მღ. გიორგი სალარეიშვილმა 40 კ., მღ. ივანე მელაძემ 50 კ., მღ. ტიმოთე ქუთათელაძემ 40 კ., მღ. ვასილ კაჭახიძემ 50 კ., მღ. ვასილ ტაბიძემ 40 კ., მღ. გრ. ოდილავაძემ 20 კ., პრიჩეტნიკმა პავლე მოსეშვილმა 30 კ., პრიჩ. პახ. მოსეშვილმა 20 კ., პრ. ლ. ბალანჩივაძემ 20 კ., პრ. ანდ. კაჭახიძემ 20 კ., პრ. ელ. გოგოლაშვილმა 10 კ., დიაკ. სტ. დანელიამ 20 კ., და სულ 10 მ.

*** ამ დღეებში ერთმა მესამე ხარისხის ხმოსანთა ამომრჩეველთაგანმა, ბ-ნმა გ. მ. ვართანოვმა შემდეგი განცხადება მიართვა ტფილისის ქალაქის თავს გუბერნატორთან წარსადგენად: „ამ წლის 18 და 25 ნოემბერს მომხდარს მესამე ხარისხის ხმოსანთა არჩევანებზე მეც სხვათა შორის ვიყავ დასახელებული კანდიდატად, მაგრამ ბბ-ნთ ასისტენტთა კომისიამ თქვენის თავმჯდომარეობით ოქმი შეაყენა და გამომრიცხა კანდიდატთა სიიდგან, ვითომ და იმ მიზეზით, რომ მამულის უქონლობის გამო ტფილისში უფლება არა მქონდა ხმოსნობისა. 5 ნოემბერს მე წარმოვადგინე კანონიერი მოწმობა ნოტარიუსისა, 5 ნოემბერსვე კანონიერად შემოწმებული ნოტარიუს მამიკონოვის მიერ, სიით № 7408. მოწმობა მომცა მამაჩემმა მიხეილ გრიგოლის ძემ ვართანოვმა, რადგან მასთან ჯერ გაუყრელი ვარ. ამ მოწმობის ძალით 11 ნოემბრის საარჩევანო კრებაზე მონაწილეობის ნებაც მომცეს. ზემოხსენებული გარდაწყვეტილება ჩემს უფლებათა დარღვევად მიმაჩნია და რადგანაც მეც მსურს ვემსახურო შეძლებისამებრ ჩემს სამშობლო ქალაქს, ამიტომ გთხოვთ მესამე ხარისხის ხმოსანთა არჩევანები, რომლის დროსაც დარღვეულ იქმნა ჩემი უფლებანი, მონიჭებულნი საქალაქო დებულების 35, 36 და 37 მუხლით, უკანონოდ ჩარიცხოდ და დანიშნოთ ახალი არჩევანები, რომ აღდგენილ იქმნას ჩემი უფლება და ხმოსნობაზე კენჭი მეყაროს.

*** სოფ. მცხეთა: 16 დეკემბერს სოფ. მცხეთაში სასოფლო ყრილობა მოხდა ახლის მამასახლისის ამოსარჩევად. ცხეთელნი ცოტა ზლაზვნით შეიკრიბნენ ამ ყრილობაზედ, თუმცა აქაურმა ბოქაულმა ელ. გუგუშვილმა ადრევე გამოუცხადა ხალხს, რომ ამა-და-ამ დღეს იქნება ყრილობაო. როდესაც დადგა დღე ახალის მამასახლისის ამორჩევისა, ხალხი ძალის ძალათი ძლივს შეაგროვეს. მამასახლისი ამოირჩიეს და ამასთანავე ყრილობამ ერთი კარგი საქმე დაადგინა: მამასახლისს ჯამაგირი დაუწესა, რომ უფრო მუყაითად მიეკიდოს თავისს თანამდებობასაო. ჯერ კიდევ სხვა საზოგადოებაში არ მომხდარა არჩევანი მამასახლისებისა და კარგი იქნება, რომ იმ სოფელთა საზოგადოებანიც მიაქცევდნენ ამ გარემოებას ყურადღებას, რაკი მამასახლისს ცხოვრება ჯამაგირით უზრუნველი ექნება, მაშინ უფრო გულ-მოდგინედ მოეკიდება თავისს სამსახურს, მთელს დროს იმას მოახმარებს და უფრო კეთილსინდისიერად იშრომებს. ამას გარდა შეიძლება ხელის მოთხოვნის ჩვეულებაც გადავარდეს როგორმე, ის ჩვეულება რომელიც ღრმად აქვს ჩვენს საპატიო მამასახლისებს ძვალ-რბილში გამჯდარი.

*** „Нов. Обоз.“ ს კვირას, 16 დეკემბრის ნომერში შემდეგი წერილია დაბეჭდილი ა. ხახანაშვილისა:

„თქვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ამბავი, რომ „საქართველოს ეგზარხოსი, მთავარ ეპისკოპოსი პალლადი, შუამდგომლობს უწ. სინოდის წინაშე ორის სამისიონეროს დასაარსებლად კავკასიაში მწვალებლობასთან საბრძოლველადაო. ამის გამო მე მსურს მივაქციო ადგილობრივ სასულიერო მთავრობის ყურადღება ქრისტიანობის სამწუხარო და საეალალო მდგომარეობაზე ძველს მესხეთში. წმ. მოციქულ ანდრიას დროიდგანვე მოეფინა ამ ქვეყანას ნათელი ქრისტეს ღვთიურის სწავლისა, მაგრამ ოსმალთა მფლობელობამ და მტარვალობამ ორის საუკუნის განმავლობაში ძლიერ დაამქვეითა და ამ ჟამად მისი მკვიდრნი არც თუ ბარბაროსნი და არც თუ მაჰმადიანნი არიან. ახალციხის ფაშები მუდამ ცდილობდნენ, გაედევნათ, მოესპოთ ქრისტიანობასთან ერთად განსაკუთრებული ეროვნული თვისებანიც მკვიდრთა და მართლა უნაყოფოდაც არ ჩაიარა მათმა ცდამ. მას აქეთ, რაც ეს ქვეყანა რუსეთის სამფლობელოდ შეიქმნა ადრიანოპოლში შეკრულს ზავს შემდეგ, ჩვენ ძლიერ ცოტა ვიზრუნეთ ოსმალთა მიერ განავლენის მოსასპობად, თუმცა მაჰმადის სარწმუნოება დამკვიდრებული არ არის. პასკევიჩ-ერივანელის მიერ ქურთების მოწვევისა ამ ქვეყანაში დასასახლებლად და მათთვის სხვა-და-სხვა შეღავათის მინიჭების გამო ბევრმა ისეთმა მესხმაც მიიღო მაჰმადიანობა, რომელიც ოსმალთა მფლობელობის დროსაც-კი ქრისტიანობის მიმდევარი იყო. „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ“ მთელი თავისი ყურადღება მარტო ოსეთს მიაქცია და არაფერს არა ზრუნავს ზემო და ქვემო ქართლზე.

„ასეა, მაგრამ ძვირფასი ნაშთენი საეკკლესიო ხელოვნებისა უტყუარად ჰმოწმობს, რომ მესხეთში ქრისტიანობა ოდესღაც გაბრწყინვებული ყოფილა. საფარის მონასტერი, ვარძიისა, აგარის, ტაძარი აწყურისა ვოლესი, ზოგიც სხვა და ბევრი ჯერედ აღმოუჩენელი მოწმეა იმისი, რომ საქართველოს სამეფოს ამ კუთხესაც თავისი სიდიადე ჰქონია. ჩემის მოგზაურობის დროს დასავლეთს საქართველოში მღვ. ხახუტაშვილთან ერთად, ჩემის თვალითა ვნახე, რომ მე-XI საუკუნის ეკკლესია მაჰმადიანებს მეჩეთად გადაუკეთებიათ. მგონი ამაზედ უკეთესი მაგალითი აღარ შეიძლება ჩვენის უზრუნველობისა და უყურადღებობისა ამ ქვეყნის ძვირფასის ნაშთებისადმი, რომელსაც ჩვენ მიერ აღდგენა სჭირია. ის ქვეყანა, სადაც XI—XII საუკუნეში განათლება იყო დანერგული, რომელმაც აღზარდა შოთა რუსთაველი, შემომქმედი უკვდავ პოემის „ვეფხვის ტყაოსნისა“ და სარგის თმოგველი შემთხზველი „დილარგეთიანისა“, ეხლა მიყრუებული მიჩუმებული კუთხეა საქართველოსი. იქ ქრისტიანობის მაგიერ ეხლა ისლამი არის მკვიდრთა სარწმუნოება, სწავლის მომფენლად მეჩეთებთან დაარსებული მედრესებია და თვით სწავლულებიც მოლლები-ღა არიან, რომელთაც მხოლოდ ორი-სამი სიტყვა იციან ზეპირად არაბულის ყურანიდგან, ფანატიკობენ და სხვა არაფერი“.

*** ამ თთვის 16 ტფილისის გუბერნიის საპყრობილის ზედამხედველმა კოხანოვსკიმ პოლიციის მეექვსე ნაწილში გამოაცხადა, რომ ერევნის გზატკეცილზე გასტეხეს ყულაბი, ამავე საპყრობილის სასარგებლოდ ჩამოკიდული შემომწირველთათვისო. ეჭვი გამოაცხადა სოფ. ბოგვის მცხოვრებელს არსენ დარჩიაშვილზე.

*** იმავე დღეს და იმავე საპყრობილის ზედამხედველმა სერგეი დიდელკომ გამოაცხადა, რომ 15 ამ თთვეს საპყრობილიდგან განთავისუფლებულმა არსენა დარჩიაშვილმა სახლი გამიტეხა და 25 მან. ნივთეულობა მომპარაო. ქურდი შეიპყრეს, ნაქურდალი უპოვნეს და პატრონს გადასცეს.

*** 15 დეკემბერს, საღამოს 10 საათზე, ელისაბედის ქუჩაზედ პოლიციელმა იპოვნა ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი, რომელიც საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 16 ამ თთვისას პოლიციის მერვე ნაწილში სიღნაღის მცხოვრებელი ალალო მამულოვი სიმთვრალის დროს წაეჩხუბა ტფილისის მცხოვრებელს სიმონ მამაჯანაშვილს და მსუბუქად დასჭრა. დამნაშავეს ოქმი შეუდგინეს და სასამართლოში მისცეს.

---

## წერილი იმერეთიდამ.

ამ ცოტა ხნის განმავლობაში გურია სამეგრელომ დიდი ხალისი გამოიჩინა სწავლა-განათლების საქმეში: სკოლები თანდათან მრავლდება და ამას გარდა იმართება წიგნთ-საცავებიცა. იმერეთში-კი ამ გვარ საქმეებისათვის დიდად თავს არ იტკივებენ. გურია-სამეგრელოში იშვიათად ჰნახავთ სოფელს, სადაც საერო ან სამრევლო სკოლა არ არსებობდეს. გურიაში ხომ უფრო მეტია ხალხში სწავლის სურვილი. ამას სხვათა შორის გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ გურიაში ზოგი სოფელი, რომლის მკვიდრთა რიცხვი ასი კომლიც არაა, იმდენს სარჯს კისრულობს მარტო სკოლის დასაარსებლად, რომ ბევრგან იმერეთში მთელს სოფელს არა აქვს იმოდენა გასასხადი. როგორც სარწმუნო წყაროებიდამ ვიცით, გურიაში, სოფელ სურებში, რომლის მკვიდრთა რიცხვი მხოლოდ ასი კომლია, თითოეულს კომლს თორმეტ-თორმეტი მანეთი გადაუხდია სკოლის შენობის ასაგებად და ყოველ წელს თითოეულმა კომლმა სამ-სამი მა-

---

ას ოცამდე ავიდა, და წლის ფული შესდგა ათას სამას მანეთამდე.

მაღაზია დავიქირავეთ ისეთს ალაგას, სადაც მუშტარი უფრო ხვდებოდა, და მივეცით წელიწადში თორმეტი თუმანი. საზოგადოების გამგეებელთა გავიყავით საქმე: ა. თუთაევი აწარმოებდა ვაჭრობას, გ. ჯაფარიძე იყო კასსირად და მე საქმეთა მწარმოებლად. პირველს წელიწადს ვაჭრობა სანატრელად წავიდა; ზოგს დღეს ნავაჭრი აღიოდა სამას მანეთამდე. 1882 წ. საბჭომ საზოგადოებისამ ორჯელ გვიყო რევიზია, შეამოწმა საქონელი და ფული, მსვლელობა ვაჭრობისა და ყველაფერი მოიწონა. წესდების ძალით შევადგინეთ წლიური ანგარიში 1882 წ. 1 მაისიდამ 1883 წ. 1-ს იანვრამდე. ჩვენგან წარდგენილის ანგარიშიდამ სჩანს, რომ წლის ფული იყო 1390 მან., სესხი 9600 მან. 51 კაპ., გასყიდული საქონელი 13.194 მან. 30 კაპ., სხვა-და-სხვა შემოსავალი 29 მან. 38 კაპ., ქონება (ნივთები) 104 მან. სულ 24,318 მან. და 19 კაპ., 1 იანვრისთვის იყო საქონელი 2503 მან. და 4 კაპ., კასაში ნაღდად 84 მან. 77 კაპ., ქონება 166 მან. და 56 კაპ., ხარჯებს გარდა მოგება დარჩა 717 მ. და 91 კ., რომელიც აი როგორ დაიხარჯა: სახლის ქირა 150 მ., მოსამსახურენი 119 მან. 96 კ., დაზღვევა 25 მან. 30 კაპ., კანცელარიისა და დუქნის აუცილებელი ხარჯები 117 მ. 44 კ., სარგებელი სესხებისა 81 მ. 10 კ., წმინდა მოგება 224 მ. და 11 კაპ., ამ წმინდა მოგებიდამ გადაიდო სათადარიგო თანხისათვის 11 მან. 31 კ., მისაცემად დივიდენდის წლის ფულზედ $1\frac{1}{2}\%$ თთვეში—147 მ. 15 კ., დივიდენდი ნავაჭრზედ 65 მან. და 65 კაპ., წევრთაგან სულ იყო ნავაჭრი 5050 მანეთისა. ხაჯს გარდა, როგორც ჰხედავს მკითხველი წმინდა მოგება დარჩა 224 მანეთი და 11 კაპ. ამ მოგების იმედიც არ გვქონდა, რადგან ახალი საქმე იყო, ვებრძოდით ვაჭრებს და ხშირად თავნზედ ვყიდდით საქონელსა, რომ ჩვენ უფრო მოგვეტანებინა მუშტარი. ეს მოხსენებული ანგარიში დაამტკიცა საზოგადოებამ წევრებისამ და პირადად მადლობა გამოგვიცხადეს გამგეობის წევრებს. აქ ისიც უნდა მოეიხსენიოთ, რომ ოლმაჩნდა წევრთაგან გატანილი ნისიად, მოგებას გარდა, 572 მ. და 73 კ., რომელიც (ნისია) საზოგადო კრებამ პროტოკოლით შეიწყნარა და შემდეგისათვის აღუკრძალა გამგეობას ნისიად საქონლის მიცემა. უკეთუ შემდეგში მისცემდნენ ნისიად, მაშინ პასუხი უნდა ეგოთ გამგეობის წევრთა. ეს საზოგადო კრება, რომელმაც გასინჯა ზემოდ მოყვანილი ანგარიში და ნისია, იყო 27 მარტს 1883 წელსა.

წესდების ძალით ერთ ერთი გამგეობის წევრთაგანი კენჭის ყრით უნდა გასულიყო წევრობიდამ. ჰყარეს კენჭი და წევრობიდამ გასვლა მხვდა მე. ჩემს მაგიერად აირჩიეს ბ. ივ. სუდაკოვი; მაშასადამე მე-1883 წლის 27 მარტიდამ გამგეობის წევრად აღარ ვირიცხები.

აქ, მართლა, ის დამავიწყდა მეთქვა, რომ გამგეობის წევრთ უსასყიდლოდ ვემსახურებოდით და შემდეგ ჩემის გამოსვლისა კიდევაც ასე იმსახურეს. მეორე დღესვე, კრებას შემდეგ, 28 მარტიდამ 1883 წ. საბჭომ საზოგადოებისამ აღწერა მაღაზია, შეადგინა დაწვრილებით სია საქონლისა, რომელიც სულ აღმოსჩნდა 1032 მან. და 43 კაპ.

თუმცა პირველი ნისია (572 მან. 73 კაპ.) ს ზოგადო კრებამ შეიწყნარა და შემდეგისათვის წევრებს გამგეობისას აღუკრძალა ნისიად გაცემა საქონლისა, მაგრამ ჩვეულებამ თავისი გაიტანა. ნათქვამია, „დაჩვეულს ნუ მოაკლებ, დაუჩვეველს ნუ დააჩვევო“. ნისიად საქონლის წაღებას დაჩვეულებმა თავისი თოხარიკი არ მოიშალეს (თვით მეც შემეხება ესა); წერილი წერილზედ მისდიოდა ბ. ა. თუთაევს, რომ ესა და ეს საქონელი გამომიგზავნე ნისიად და ფულს შემდეგ მოგართმევთო. გაბეზრეს თ—ი, ისარგებლეს მისის სუსტის ხასიათით, იქნამდის მიიყვანეს, რომ იძულებული გახდა კვლავ ეძლია ნისიად. მაგრამ როდესაც თ—მა დაატყო, რომ არც ძველს ნისიებს აძლევენ და ახალი ნისიაც ავიდა 330 მანათამდე, მაშინ დაუწყო ნისიების თხოვნა და აჰკრძალა ნისიად გაცემა საქონლისა. აი აქ დაიხლართა საქმე, აქ იწყო გორდიას ხვანჯი საქმისა, რომელიც დღესაც არ გამოხსნილა. ამ აღკრძალვამ და ნისიების თხოვნამ გამოიწვია მეორე მხრიდამ, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, რეაქცია, გამოიწვია ბრძოლა, ჯიბრზედ აშენებული, რომელმაც დაღუპა საზოგადო საქმე. აიკრძალა თუ არა ნისიად გაცემა, მაღაზიაც დაიღუპა. სამდურავის წერილებმა, ლანძღვა-გინებამ და ცილის-წამებამ თავი იჩინეს. ეს მოსალოდნელიც იყო; ქართველს კაცს ხასიათად აქვს: ავილე და ველარ მოგეც; თუ სთხოვე ვალს, პირველი მტერი მისი შენა ხარ; თუ მტერი გინდა გაიჩინო, მიეც, ასესხე ქართველს კაცს ფული და მერე სთხოვე. საუბედუროდ და სამწუხაროდ ეს ასეა. ითხოვა თუ არ თ—მა ნისიები, ყველანი მტრად გადაექცნენ, მაშინ წამოყელყელავდნენ ყველანი და მუშტები მიუღერეს.

როდესაც ბ. თ—მა შეატყო, რომ მაღაზიის საქმე უკან და უკან მიდის, ფული აღარ შემოაქვთ მონისიავეებსა, მაშინ მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს თხოვნით; მისცა ქაღალდი 21 ივნისს, 16 ენკენისთვეს და 15 ნოემბერს 1883 წ., რომ საქმე უკან და უკან მიდის, ჩემი ამხანაგები-გამგენი საზოგადოებისა აღარ მოდიან, ნისია აღარავის შემოაქვსო; ეს არ იკმარა თ—მა, შემდეგ კერძო წერილითაც აცნობა საბჭოს თავმჯდომარესა ბ. ბუ-

ნეთი უნდა იხადოს მასწავლებლის ჯამაგირად.

სჯობს საქმე ქმნა სიტყვასა,
თქმულსა არ გათავებულსა:
თქმა და არა ქმნა სარცხვენელ
ჭკუოვს კაცსა გათავებულსა.

დაილ, უთქვამთ სურებლებს თუ არა — თქმა მაშინვე საქმედ გადაუქცევიათ, რადგანაც სწავლა განათლების სურვილი მკვიდრობილში გასჯდომიათ და არსების შერად გადაქცევიათ. სურებს ამის შემდეგ იმედია, ბევრი მიმბაძავიც აღმოუჩნდებათ, მაგრამ სად? ისევ გურიაში. იმერლები ბევრად დაშორებულნი არიან იმ წერტილს, რომელზედაც გურულები სდგანან სწავლა-განათლების ხალისით. იმერეთში ბევრი უფრო იმას ცდილობს, რომ რაც მთავრობამ მალა-ჟურნურად ავერ-ავერ სკოლები დააარსებინა, მიიასნად მოსპონ, არა თუ შემწეობა მისცენ დაარსებულს სკოლას.

რაცა დაჭრგო და იხარის,
აღარმინდეს მას სავარდოსა,
ფურცხით ნულარა დასთრგუნავ,
ეცადე გაიზარდოს.

რაკი სწავლაში გულ-გრილობას, გულ-ქვაობას ჭხედავს სოფლის მასწავლებელი იმერეთში, იმასაც გული უტყდება; ჭფიქრობს, რომ ჩემი შრომა, ჩემი მოღვაწეობა არა ფასდებაო და ხშირად იძულებულია ადგილი იცვალოს, წავიდეს იქ, სადაც გამგონე და თანამოაზრე ეგულება და სადაც მისი მოღვაწეობა უფრო ბევრად თვალ-სასინო შეიქნება.

მეგობარი ბევრი უნდა,
თანა მძრახი ერთი ოდენ;
საქმეს კარგათ გაიმართვენ
თუ შვა ორთავ სწორედ ჭრიდენ.

საზოგადოდ იმერეთის ბევრს მიყრუებულს სოფელში ეხლაც ზოგიერთი ისეთი ზნე-ჩვეულება არსებობს, რომელიც სარწმუნოების წინააღმდეგიც არის და მასასადამე ერის ზნეობით დამამცირებელიც. ამ გვარ ზნე-ჩვეულებათა არსებობა სწავლა-განათლების საქმესაც აბნელებს. მაგალითად სოფელს წყალტუბოში სცხოვრობენ გლეხნი ჯიქიები (60 კომლი), რომელთა წინაპარნი უსოვარ დროიდამ გადმოსულან აქ აფხაზეთიდამ; პირველად ჭკვისა თუ სხვა მიზეზისა გამო ვერ შეგუებულან აქაურობას და მათში სიკვდილი გახშირებულა. ამის გამო აუჩენიათ ერთი ბებერთელა მუხა და ყოველ წლიურად მარიობა დღეს, 15 აგვისტოს იკრიბება ხსენებულს მუხის ძირში მთელი ჯიქის გვარეულობა და მიაქვთ შესაწირავად ფუღი და სამთელი; ფუღს თავზედ შემოივლებენ, ღმერთს შვიდობასა სთხოვენ და მუხას ძირში ჩაფლავენ. შემდეგ შეუდგებიან ლხინს, რომელიც იშვიათად მშვიდობიანად დასრულდება. ამ ნაირი ჩვეულება აქვს ბევრს სხვა გვარსაც სოფელს წყალტუბოში.

სოფელ ხომულში (წყალტუბოს სამამასახლისოში) ყოველ წლივ 25 თებერვალს დღესასწაულობენ ალორტებას; ამ დღეს ყველა ოჯახში მეოფნი, გარდა მდედრობითის სქესისა, იკრიბებიან სხვა და-სხვა სანოვაგით ერთს დაბურულს ტყეში, რომელსა ჯერ ადამიანის ხელი არ შეხებია, რადგანაც აქაურებს წმინდა ადგილად მიაჩნიათ ამისთანა ტყე და იქიდამ არავის არ შეუძლიან თუნდ ერთი ჩხირი გამოიტანოს. როდესაც ყველა თავს მოიყრის, ყველა იქ მეოფნი სადღესასწაულოთ დამწკრივდებიან, აანთებენ სანთლებს და ამ ნაირად სამჯერ შემოუვლიან ირგვლივ ტყეს, შემდეგ ყველა გრთხმად დაიჩოქებს, ილოცვენ და მერე შეუდგებიან ტყეშივე სადილს, რომელიც ხშირად მეორე დღემდინაც გასტანს ხოლმე. ეს დღეობაც იშვიათად თავდება მშვიდობიანად.

ლ. ორბელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენს გაზეთში ამას წინად დაბეჭდილი იყო სიტყვა გერმანიის იმპერატორის ვილჰელმისა, მის მიერ წარმოთქმული სწავლა-განათლების აწინდელი წეს წყობილების შესახებ მოსალაპარაკებლად მოწვეულ კომისიის კრებათა დაწყებისათანავე. ამ კომისიას თავისი საქმე ახლა ჯერ-ჯერობით დაუმთავრებია და იმპერატორს აქაც, გათავებისას, ორიოდე სიტყვა უთქვამს 5 დეკემბერს. ამ სიტყვიდგან სჩანს, რომ იმპერატორი კმაყოფილია კომისიის მუშაობით, იგი აღიარებს, კეთილ-სინიდისიერად იშრომეთ ყველამ და გმადლობთ, რომ იმ გზით იარეთ ამ საქმის განსჯის დროს, რა გზაც მე დაგისახელეთ და კარგათ შეიგნეთ და გამოირკვიეთ ის აზრი, რომელიც მე ორიოდე სიტყვით წარმოვსთქვი. შემდეგ იმპერატორი გერმანიისა ამბობს, რომ, ამ საქმის საბოლოოდ დამთავრებამდე, კიდევ ორიოდე მუხლს უნდა შევეხო და ორიოდე წვლილის გამო გადმოგცეთ ჩემი აზრი.

როგორც შევატყე, თქვენ დიდად გაოცებულხართ იმ გარემოებით, რომ პირველს ჩემს სიტყვაში სულ არ მოვიხსენიე სარწმუნოება. ბატონებო! მე მეგონა, რომ ჩემი აზრი სარწმუნოების შესახებ და აგრეთვე ის გარემოებაც, რა დიდად მწამს ღმერთი და რა გვარს პატივსა ვსცემ, იმდენად ნათელია ყველასათვის დღესავით, რომ მისი განმეორება საჭირო აღარ არის-მეთქი. ვითარცა პრუსიის მეფესა და უმაღლესს ეპისკოპოსის ჩვენის ეკკლესიისას, რაცა თქმა უნდა, ჩემს უწმინდესს მოვალეობად მიმაჩნია იმას ზრუნვა, რომ ჩვენს სასწავლებლებში სარწმუნოებრივი გრძნობა და ქრისტიანობის ნაპერწკალი იქმნას მტკიცედ დაცული და გაძლიერებული. დეე სასწავლებლებსა სწამდეს და პატივსცემდეს ჰქონდეს ეკკლესიისა და ეკკლესიაც თავის მხრივ მხარს აძლევდეს სასწავლებლებს და შრომას უადვილებდეს; რაცა ყველანი ერთად გაქნებით შეერთებულნი, ადვილად შეგიძლებთ უმაწვილ-კაცობის ისე აღზრდას, როგორც ვალად გვდებს ჩვენის აწინდელის სახელმწიფოს ცხოვრება.

იმპერატორს უთქვამს, რომ სრულიად ვეთანხმები ყოველსავე თქვენს გარდაწყვეტილებას, მხოლოდ ის უნდა ვსთქვა, რომ ეგზამენების შესახებ არაფერი გადაგვიწყვეტია და ამის შესახებ უნდა დავადგინოთ რამე.

ჩვენ ისეთს დროსა ვცხოვრობთ, რომ სავსა ახალს საუკუნეში გადავდგებით. ჩემს გვარეულობას-კი ყოველთვის ის უპირატესობა ჰქონდა,— ვგონებ, ჩემმა მამა-პაპამ დიდიხანია დაამტკიცა ეს,— რომ დროთა ვითარების მაჯის ცემას გაიგებდა ხოლმე და ადრევე აიღებდა ალღოს, რა დროჟამმაც გვიახლოვდებაო. ამ ნიჭის წყალობით ისინი ყოველსავე ახალს მოძრაობას მეთაურებად უხდებოდნენ და სცდილობდნენ ახალის გზით ეტარებინათ საზოგადოება. ჩემის აზრით, მეც მივუხვდი, საითაც აპირებს გადასვლას ეს ჩვენი ახალი დრო, და კიდეც ამიტომ ავტეხე საქმე როგორც სოციალურ ცვლილებათა გამო, ისე ჩვენის ახალის თაობის სწავლა-განათლების შესახებ, ამიტომ გავბედე ახალს გზაზედ ფეხის გადადგმა, იმ გზაზედ, რომლითაც სიარული ჩვენთვის აუცილებელია, რადგან თუ ჩვენ თითონ არ მოვისურვეთ ამ გზით სიარული, ოცის წლის შემდეგ იძულებულნი ვიქნებით დროთა ვითარებას დავემორჩილდეთ. აი ამიტომ ყველანი გმადლობელობისა და სიხარულის გრძნობით უნდა იყვნეთ აღსავსენი, ვინაიდგან თქვენ იქმენით ამორჩეულნი ახალ მიმართულების ძირეულ დედა-აზრთა გამოსარკვევად, იმ გზათა გამოსაძებნად, რომლითაც უნდა გატაროთ ამიერიდგან უმაწვილ-კაცობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველს აქ მყოფს ლოცვითა და კურთხევით იხსენიებს ათასობით დედა. ამას რომ ვამბობ, საზოგადოდ, საყოველთაოდ ვამბობ და ამ ბედნიერთა რიცხვით არ ვკლებ არც იმათ, რომელნიც ჩემის აზრის სასარგებლოდ იღვწოდნენ, და არც იმათ, რომელთაც თავისი აზრი უარ-ჰყვეს ხანგრძლივის ბრძოლის შემდეგ, უარ-ჰყვეს ის გზა, რომელსაც ამდენს ხანს ადგნენ: ყველასა გმადლობ. დეე მათ მიერ მოტანილმა სხვერპლმა შემდეგ მაინც შეაგნებინოს, რომ ჩვენც ამ საქმის გამორკვევასა და გადაწყვეტაში წილი გვიდევს, ჩვენც დახმარება აღმოუჩინეთ ამ საქმესაო.

შემდეგ იმპერატორმა ყველას საერთოდ მადლობა გადაუხადა თურმე და ამ მადლობით დაასრულა თავისი სიტყვა. როცა იმპერატორმა ვილჰელმმა დაამთავრა თავისი სიტყვა, წამოდგა ერთი ამ კრების წევრთაგანი, ლუკანუსი და წაიკითხა უმაღლესი ბრძანება გერმანიისავე იმპერატორისა. იმპერატორი ამ ბრძანებაშიაც განმეორებით მადლობას უხდის კრების წევრთა და ამბობს, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ მაუწყეთ თქვენი აზრი, რას იტყვით იმის შესახებ, რომ 5—7 კაცი მოვიწვიოთ, განსაკუთრებული კომისია შევადგინოთ და მივანდოთ.

1) ყოველივე შეკრებილი მასალა გამოარკვიონ, კრიტიკულად განიხილონ და თავისი აზრი დაუყონებლივ გვაუწყონ.

2) გასინჯონ და დაათვალიერონ საუკეთესო სასწავლებლები როგორც პრუსიისა, ისე ჩვენის იმპერიის მოკავშირე სახელმწიფოებისა, რათა უკვე ჩვენს ხელთ მყოფი მასალა შეავსონ და პრაქტიკულის ცნობით უნაკლულო ჰყონ.

იმედი მაქვს, რომ რაკი ყოველივე მასალა ხელში გვქნებათ, ამ საქმეს ადვილად მიჰყოფთ ხელს, შეადგენთ და ისე ჩქარა წარმომიდგენთ გეგმას საშუალო სასწავლებლებში შემოსაღებ ცვლილებებისას, რომ ახალის წესების შემოღება 1892 წ. 1 აპრილის თვიდგანვე შევიძლოთ. მოლოდინი მაქვს, რომ ამ საქმის მსვლელობის შესახებ ყოველ თვე მოხსენებას წარმომიდგენთ და მის ავკარგიანობას გამაცნობთო.

## წვრილი ამბები

— საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთებმა ლაპარაკი დაიწყეს, ჯამბაზებს ჭაერში ჭაეროსტატებით ფრენა უნდა აეკრძალოსო. მართალსაც ამბობენ, სწორედ რომ სთქვას კაცმა, ჯერ ერთი მათი ყურებაც საშინელებაა, როცა ვერსისა და მეტის სიმაღლეზე ათასნაირად ტრიალობენ და გადადიან-გადმოდიან ეს თავზე ხელაღებული კაცები, და უბედურებაც ხომ ბევრჯელ მოხდება ხოლმე. შარშან ერთი ახალგაზრდა ფრანგი ჯამბაზი აფრინდა ჭაერში ეიფელის კოშკის სიმაღლეზე, მაგრამ ჭაეროსტატზე მიბმული ფიცარი მოსწყდა და თან წაიღო საწყალი ჯამბაზიც. მიწაზე რომ დაეცა და ნახეს, აღარ ეტყობოდა, სად რბილი იყო და სად ძვალი, ისეთ ნაირად გაითქვიფა ის უბედური. ამ გვარივე უბედურება დაემართა იტალიანელს ჯამბაზსაც ბარლოტტის ქალაქ ბრაილოვში. ჭაეროსტატი ჩალის კომლით გაჭბერა და როცა ძლიერ მაღლა აფრინდა, მხოლოდ მაშინ შეიტყო

---

ტენკოს 13 დეკემბრიდამ 1883 წ. საქმის გარემოება და დაუმატა, რომ მე ავადმყოფობისა გამო დუქანსა ვკეტავო. მართლაც დაჰკეტა დუქანი. მოწინააღმდეგე დასმა მოახდინა საზოგადო კრება, სადაც აირჩიეს სარევიზიო კომისია; კომისიაში აირჩიეს ზოგიერთი იმისთანათაგანი, რომელთაც ემართათ ნისია. ამ დროს საზოგადოების ვაჭრობა, დუქანი გადატანილ იქმნა ბ. ნ. დიასამიძის სახლებში, რომელმაც უსასყიდლოდ, უქიროდ დაუთმო მაღაზია იმ ხნობამდე, ვიდრე „დეპო“ წელს გაიმაგრებდა, მაგარს ნიადაგზედ დადგებოდა. ამ მაღაზიაში კომისია იბარებდა საქონელსა თ—საგან, და როგორ იბარებდა? ფოსტის ქაღალდის კონებსა, ფაბრიკაშივე შეკრულს და დაბეჭდილსა, ხსნიდნენ და ფურცელ-ფურცელ სთვლიდნენ, აკლდება რამე და იქნება დაიეჭვიროთ რაშიმე თ—ი. მოდი და კაცს გული ნუ აემღვრევა! ამ გვარის ჩაბარებითა სტანჯეს რამდენიმე დღე. ასე გასინჯეთ, იქამდის მივიდნენ, რომ კაცს სახლში პურის საჭმელად არ უშვებდნენ. ერთხელ როცა თ—ი თავის საკუთარის საქმისათვის სოფ. ხიდლეს წავიდა, კინაღამ ჯვარს აცვეს, როგორ გაბედე უჩვენოდ გორიდამ გასვლაო. როგორც ჰხედავს მკითხველი, აქ საქმე ჯიბრზედ აშენდა; ჯიბრს ჯიბრი მოჰყვა და საქმე გამწვავდა; კომისიამ შეადგინა უშველებელი მოხსენება და წარუდგინა კრებას; კრებამ მოსთხოვა თუთაევს პასუხი. ამოდენა მოხსენებას ამოდენავე პასუხი უნდოდა, რომელსაც თ—ი სამი თვე მოუნდა და რომლითაც ცხადად დაუმტკიცა კრებას, თუ ვინ იყვნენ დამნაშავენი საქმის შეყენებაში. იმ კრებაზედ, რომელზედაც თ—ს პასუხი იქმნა წაკითხული, სხვათა შორის, დაესწრნენ „დროების“ რედაქტორი ბ-ნი ი. მაჩაბელი, ნ. ხიზანაშვილი, ი. ბახტაძე, გრ. ყიფშიძე და სხვ. რამდენად სამართლიანად მოიქცა კომისია თავისს მოხსენებაში, რა უსამართლობანი უჩვენა თ—მა, რა ნაირად გაეიდა ნისია (ყველა ამის მოწამენი გახდნენ კრებაზე დასახელებულნი მოღვაწენი ჩვენის ლიტერატურისა),—ამისი ჩამოთვლა მე შორს წამიყვანს, მსურველთ შეუძლიანთ წაიკითხონ ამ საქმის შესახებ „დროების“ № 206 1884 წლისა, რომელშიაც აწერილია ის საზოგადო კრება, სადაც წაიკითხეს თ—ს პასუხი; აწერილია, რამდენად სამართლიანად მოიქცა კომისია. რასაკვირველია, საზოგადო დუქნის საქმე დაიწეწებოდა, როდესაც რომ კომისია თავის მოხსენების წერას სამი თვე მოუნდა, თ—ი პასუხს ამდენივე ხანი, ახლა კიდევ სხვა დავიდარაბასა და მითქმა-მოთქმასა, და ამ ხანებში დუქნის დარდი ვილასა ჰქონდა.

როდესაც თ—მა დუქანი დაჰკეტა და გამოუცხადა საბჭოსა, მაშინ ამოარჩიეს ახალი გამგენი საქმისა და ახალი საბჭოც; გამგებელად აირჩიეს, ბ. შ. შიუკაშვილი, ს. ლიაძე და ძველივე სუდაკოვი, რომელთაც თ—მა გადასცა 637 მანეთის და 65 კაპ. საქონელი და ჩამოართვა ბარათი; ამას გარდა გადასცა კიდევ ავეჯეულობა (სხვა-და-სხვა ნივთები) 160 მანეთისა,—სულ 797 მან. და 65 კაპ. და ნისია 856 მან. 42 კაპ.

ახალმა საბჭომ და გამგეობამ დაადგინა განაჩენი, რომ უკეთუ 1884 წლის ნოემბრის გასვლამდის ძველის გამგეობის წევრნი არ წარმოადგენენ მთელს ნისიას, მაშინ სამართლის წესით გარდახდეთო. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამისთანა განაჩენის დამდგენლებში ზოგნი ისეთებიც ერივნენ, რომელთა ზედაც ნისია ირიცხებოდა. ამისთანა განაჩენის შემდეგ, თუნდაც სდომებიყოთ, ვილა შემოიტანდა ნისიასა; ამ განაჩენმა ყველა გააფთხილა, გულისხმაში ჩააგდო: ნუ შეიტანთ ნისიას, გამგებლებს ისეც გადახდებათო. ძველმა გამგებლებმა მთლად ნისია ვერ შეიტანეს და ახალმა საბჭომ დაადგინა სასამართლოს წესით გადაგვხდომიყო, ამისათვის აირჩიეს ვექილად ბ. ან. ფურცელაძე, რომელსაც, როგორც უკვე ვიცით, მიანდეს სისხლის სამართლის წესით დევნაც, მიანდეს იმათიც რომელთაც ჩვენი ნისია ემართათ. 1885 წ. ფ—ძემ შეიტანა საჩივარი გორის მომრიგებელ სასამართლოში ოთხს კაცზედ: თუ—ზედ, ჯაფ—ძეზე სუდაკოვზე და ჩემზედ. მოსამართლემ მე გამამართლა იმ საბუთის ძალით, რომ მე ვიყავ მხოლოდ 1882 წელს წევრად გამგეობისა. ანგარიში ამ წლისა, როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, საზოგადო კრებამ დაამტკიცა, შეიწყნარა და მიიღო ყველაფერი. ჩემმა ამხანაგებმა აპელაცია გადიტანეს, ფ—ძემ ჩემზედ პროტესტი შეიტანა სასამართლოში; ოლქის სასამართლომ გაგვამართლა; ვექილმა განაგრძო საქმე პალატაში, რომელმაც დააბრუნა საქმე ოლქის სასამართლოში და მარტში ამა 1890 წელ. გაგვამტყუნეს. ვექილმა ფ—ძემ მაშინადვე აიღო აღმასრულებელი ფურცელი ყველაზედა და დაგვეტაკა ჯერ მე და ჯა—ძესა; თ—ი და სუდაკოვი დასტოვეს განზედა. ჩემზედ ვექილმა ფურცელი წარადგინა სასწავლებელში და ერთად ერთი სახსარი ცხოვრებისა, მცირე ჯამაგირი შემიკრეს; ჯაფარიძეს ერთად-ერთი სახლი გასასყიდად დაუნიშნეს. მაგრამ აქ შესდგა კრება საზოგადოებისა 3-ს ივნისს 1890 წ. და მისწერეს ფ—ძეს, შეეყენებინა საქმე იმ დრომდე, ვინემ ახალს განკარგულებას არ მიიღებდა იგი. ეს მიწერილობა თვით ა. თუთაევმა ჩააბარა ფურცელაძესა.

აი სრულად საქმის გარემოება დაწყებიდამ დღემდისა.

ს. მგალობლიშვილი

რომ ჩალისაგან ნაპერწკლები მოჰხვედროდა ჭაეროსტატს და ცეცხლი გასჩენოდა ჩქარის აფრენის დროს ქარმა შემოჰკრა და ჭაეროსტატიც აზურზურდა. საწყალი ჯამბაზი ისეთის სისწრაფით დაეშვა დედამიწაზედ, რომ მდინარე დუნაის ერთს ჭაობიანს კუნძულზედ დაეცა და მიწაში კარგა ღრმად ჩაძვრა. ზემოდგან ორიოდ მკალი-და დარჩა და ისიც სულ ერთიან გაათქვიფა.

— გასწია და გასწია კოხას სახელმა, ჯერ მარტო წამალს ეწერა ამ კაცის სახელი, მერე საჭმელებსა და პაპიროსებზედაც დააწერეს და ეხლა-კი, როგორც ბრემენის გაზეთებში სწერია, ერთის ახალის გემისათვის დაურქმევიათ: „პროფესორი კოხი“. ამ სახელის დარქმევის ნება უთხოვნიათ კოხისთვის და იმასაც, რა კითხვა უნდა, უარი არ უთქვამს ამაზე.

— მერმის მაისში შესანიშნავი გამოფენა გაიმართება პრაგაში ჩეხურის ასის წლის მხატვრობისა ე. ი. 1791 წ.—1891 წლამდე. ამ გამოფენაზე მოიტანენ სხვა-და-სხვა ნახატს, რომელიც ეხლა ავსტრიაში გაფანტული სასახლეებსა და კერძო სახლებშია. ამას გარდა მოიტანენ აგრეთვე გამოჩენილ ჩეხელ მხატვრის იაროსლავ ჩერმაკის ყველა ნახატებსაც, რომელიც ამ ჟამად ბელგიაში ინახება.

— ლონდონის ერთს გაზეთში სწერია, რომ იმპერატორ ვილჰელმის უმცროსი და, პრინცესა მარგარიტა, ინიშნება დანიის ბატონის შვილს ქრისტიანზე, რომელსაც, იმედია, მამის სამეფო ტახტი დარჩება.

— გოლლანდიაში ერთს გლეხს სადათას ძილი მოსვლია. ერთი კვირაა სძინავს თურმე და გაალვიძებენ თუ არა, მაშინვე ხელ-ახლად იძინებს.

# დეპეშა

15 დეკემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომ სასულიერო სემინარიაში სხვა წოდების მოსწავლეთ სწავლის ხარჯად 40 მან. გადაჰხდეთ კაცის თავზედ. ეს ბრძანება არ შეეხება იმ სხვა წოდების ყმაწვილებს, რომელნიც უკვე სწავლობენ რიგისა და ხოლმსკო-ვარშავას სემინარიებში და ფულს-კი არაფერს იხდიან, ხოლო იმათაც, თუ სწავლის დამთავრების შემდეგ, სასულიერო უწყების სამსახურში არ შევიდნენ, 40 მანეთი უნდა გადაიხადონ ყოველის წლისა, რამდენი წელიწადიც გაუტარებიათ სემინარიებში.

„Новое Время“ ამბობს: ფინლიანდიის საქმეთა შესახებ დაარსებულმა კომისიამ მიიღო მხედველობაში რა, რომ 4 მარკა ერთ ვერცხლის მანეთს უდრის და ოც ფრანკიანი—პოლუიმპერიალს, საჭიროდ დაინახა: გამოიცვალოს ფინლიანდიის ფულის სახელი და ამიერიდგან პეტერბურგის ზარაფხანაში მოიჭრას. რუსეთის მანეთიანს კვლავ უფლება ეძლევა იწარმოოს ფინლიანდიაში, ხოლო ფასი-კი ამ ქაღალდის მანეთიანისა ფინანსთა მინისტრმა უნდა გამოაცხადოს ხოლმე დრო-გამოშვებით.

16 დეკემბერი

პეტერბურგი. „С.-Петерб. Вѣд.“-ი იუწყება, რომ განზრახვა აქვთ მეორე გილდის შესატანი ფული 500 მანეთამდე აწიონ.

განზრახვა აქვთ ნება მისცენ ზოგიერთ საკრედიტო დაწესებულებათ, რომ მათ განსაკუთრებული სესხიც მისცენ ხოლმე მისავალ გზების გასაკეთებლად სათემოებს, ქალაქებს და საერთოდ საზოგადო დაწესებულებათ.

17 დეკემბერი

პეტერბურგი. „С.-Пет. Вѣд“-ებს გაუგონიათ, რომ მალე შემოღებულ იქმნება ახალი დებულება საერო ხარჯის გაწერისა.

პარიჟი. სამხედრო მინისტრმა ფრეისინემ სენატორების ამომრჩეველთა კრებაზე ლაპარაკი ჩამოაგდო სამხედრო საქმეების შესახებ და სთქვა, რომ ჯერ არ დამდგარა ის დრო, როდესაც აუცილებელი სიმართლე დამყარდება ქვეყანაზედ და რომ, თუმცა ლიგა მშვიდობასა ცდილობს თავისას, მაგრამ მაინც ძალაა წინანდებურად ერთა ბედის გადამწყვეტიო; ამიტომ საფრანგეთს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ღონე იმისა, რომ მეზობლები პატივისცემით ეპყრობოდნენო.

პეტერბურგის ბირჟა, 11 დეკემბერი.

| | მყიდველნი სთ. მან. კ. | გამყიდველნი მან. კ. | გაყიდულია მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7 „ | 7 03 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 14½ | 141 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 07 | 1 10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 239 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 218½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | — „ | — „ | 211¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.


# განცხადებანი

სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—25)

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი

Huste-Nicht

Gerichtl. geschützt

„ნუ ახველებ“

თაფლ-ბალახიანი მალც ექსტრაქტი და კამფეტები

ლ. ჰ. პიტშსა და ამხ. ბრესლავლში.

ქიმიურის ანალიზითა და სმკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის, და კიდეც ამიტომ მისი რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება დართულია.

ფასი: ბოთლი ჰქირს 1 მან. 25 კაპ. და 2 მ. 40 კაპ. კანფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის არის

ვ. ალერიხთან

ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18/19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

(16—9)

ეს განცხადება დაბეჭდილია ... 191 №-ში.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

გამოვა 1891 წელსაც, ორ თვეში ერთხელ, იმავე პროგრამით, როგორც ამ წელს. ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება.

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8)

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*

(5—5) რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით. . . | 10 მ.—კ. | 6 თვეით. . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შეცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია აღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ესელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები გნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს გუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Séguin, Bordeaux, rue Croix de Ségucy.

(208—68)


Доз. цен. Тифлсъ, 17-го Декабря 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С.А, Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. у. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე